

შპს „ვასაძის პური„

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .	6
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
1.ზოგადი ინფორმაცია.....	10
2.ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
მმართველობითი ანგარიშგება	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვასაძის პური“-ს დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ვასაძის პური“-ს (შემდგომში კომპანია) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისაგან და ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISAs). აღნიშნული სტანდარტით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA code) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად. ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ა ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 და მე-5 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს კომპანიის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, აღნიშნული ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალური აქტივების ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე შესაძლოა დასჭირდეს კორექტირება.

ასევე ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაზე, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს, კომპანიის სპეციფიკაციიდან (დისტრიბუცია) გამომდინარე შესაძლოა ზოგიერთი სავაჭრო მოთხოვნა საჭიდობდეს კორექტირებას.

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-8 შენიშვნაზე, რომელიც შეეხება კომპანიის ბალანსზე არსებულ მარაგებს, მარაგების ინვენტარიზაციისა და გაუსასურებაზე ტესტირების გამო შესაძლოა საჭიროებდეს კორექტირებას.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო (IFRS for SME) სტანდარტის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ასრებით უზუსტობას.

ფინანსური ვალდებულების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და საჭიროების შემთხვევაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ოპერაციების შეერება ან არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო და სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობასა და გონივრულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: • მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და • მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

თამარი კუჭავა (რეესტრში რეგისტრაციის № SARAS-A-405497)

შპს „აუდიტ ჯორჯია“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2020 წელი

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო და სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა, შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობასა და გონივრულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენი აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ: • მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და • მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

თამარი კუჭავა (რეესტრში რეგისტრაციის № SA RA S-A -405497)
შპს „აუდიტ ჯორჯია“-ს სახელით
თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2020 წელი

თ. კუჭავა



შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	<u>4</u>	7 901 814	5 804 642
არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	5 821	5 821
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	<u>10</u>	456 280	456 280
სულ გრძელვადიანი აქტივები		8 363 915	6 266 743
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>6</u>	203 240	455 857
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	<u>7</u>	2 154 746	2 618 786
მარაგები	<u>8</u>	1 010 978	841 217
წინასწარ გადახდილი გადასახადები			-
გაცემული სესხები			-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 368 964	3 915 860
სულ აქტივები		11 732 879	1 0182 603
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 200	35 200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 892 160	4 284 076
გადაფასების რეზერვი		297906	297 906
სულ კაპიტალი		4 225 266	4 617 182
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	<u>11</u>	6 235 435	4 717 454
ანარიცხები		9 928	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6 245 363	4 717 454
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	<u>11</u>	-	50 000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>9</u>	1 136 738	641 846
საგადასახადო ვალდებულებები		125 511	156 121
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 262 249	847 967
სულ ვალდებულებები		7 507 612	5 565 421
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11 732 877	10 182 603

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე

შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	7 901 814	5 804 642
არამატერიალური აქტივები	5	5 821	5 821
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	10	456 280	456 280
		8 363 915	6 266 743
სულ გრძელვადიანი აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	203 240	455 857
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2 154 746	2 618 786
მარაგები	8	1 010 978	841 217
წინასწარ გადახდილი გადასახადები			-
გაცემული სესხები			-
		3 368 964	3 915 860
სულ მოკლევადიანი აქტივები		11 732 879	1 0182 603
სულ აქტივები			
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		35 200	35 200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 892 160	4 284 076
გადაფასების რეზერვი		297 906	297 906
		4 225 266	4 617 182
სულ კაპიტალი			
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	6 235 435	4 717 454
ანარიცხები		9 928	
		6 245 363	4 717 454
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	-	50 000
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1 136 738	641 846
საგადასახადო ვალდებულებები		125 511	156 121
		1 262 249	847 967
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 262 249	847 967
სულ ვალდებულებები		7 507 612	5 565 421
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11 732 877	10 182 603

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე

0.311

მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე

შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	<u>12</u>	18 521 551	16 712 358
თვითღირებულება	<u>13</u>	(9 668 472)	(8 765 633)
საერთო მოგება		8 853 079	7 895 878
სხვა შემოსავლები		-	24 500
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>15</u>	(5 986 845)	(4 591 316)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(2 535 421)	(2 114 638)
სხვა ხარჯები		(1278)	-
საოპერაციო მოგება		329 535	1 265 271
ფინანსური შემოსავალი	17	30 172	56 383
ფინანსური ხარჯი	18	(315 400)	(434 079)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(213 264)	596 900
მოგება დაბეგვრამდე		(168 957)	1 484 474
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება		(168 957)	1 484 474
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	
მთლიანი სრული შემოსავალი		(168 957)	1 484 474

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე

შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	<u>12</u>	18 521 551	16 712 358
თვითღირებულება	<u>13</u>	(9 668 472)	(8 765 633)
საერთო მოგება		8 853 079	7 895 878
სხვა შემოსავლები		-	24 500
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>15</u>	(5 986 845)	(4 591 316)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>14</u>	(2 535 421)	(2 114 638)
სხვა ხარჯები		(1278)	-
საოპერაციო მოგება		329 535	1 265 271
ფინანსური შემოსავალი	17	30 172	56 383
ფინანსური ხარჯი	18	(315 400)	(434 079)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(213 264)	596 900
მოგება დაბეგვრამდე		(168 957)	1 484 474
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(168 957)	1 484 474
სხვა სრული შემოსავალი:			
გადაფასების რეზერვი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(168 957)	1 484 474

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე

მ. ვასაძე

მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე

ე. ცენტერაძე

შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	35 200	297 752	2 824 102	3 157 054
წმინდა მოგება	-	-	1 459 974	1 459 974
სხვა სრული შემოსავალი	-	154	24500	24654
პერიოდის სრული შემოსავალი	-	154	1 484 474	1 484 628
გაცემული დივიდენდი	-	-	(24500)	(24500)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	4 284 076	4 617 182
წმინდა მოგება	-	-	(168 956)	(168 956)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	12000	12000
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(156 956)	(156 956)
გაცემული დივიდენდი	-	-	(234 910)	(234 910)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(72)	(72)
2019 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	3 892 138	4 225 244

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე


შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	35 200	297 752	2 824 102	3 157 054
წმინდა მოგება	-	-	1 459 974	1 459 974
სხვა სრული შემოსავალი	-	154	24500	24654
პერიოდის სრული შემოსავალი	-	154	1 484 474	1 484 628
გაცემული დივიდენდი	-	-	(24500)	(24500)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	4 284 076	4 617 182
წმინდა მოგება	-	-	(168 956)	(168 956)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	12000	12000
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(156 956)	(156 956)
გაცემული დივიდენდი	-	-	(234 910)	(234 910)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	(72)	(72)
2019 წლის 31 დეკემბერი	35 200	297 906	3 892 138	4 225 244

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე



მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე



შპს „ვასაძის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	(168 956)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1 137 955
- გადასახადები	-
- ცვეთა	613 950
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	26 496
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	213 264
- წმინდა ფინანსური ხარჯი	284 245
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	770 424
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	464 041
- მარაგები	(169 761)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	496 825
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(30 610)
- ანარიცხები	9 928
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1 739 422
- მიღებული პროცენტი	-
- გადახდილი პროცენტები	(295 013)
- გადახდილი მოგების გადასახადი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 444 409
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(2 729 700)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-
- მიღებული დივიდენდები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 729 700)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	10 603 516
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(9 337 829)
- გადახდილი დივიდენდები	(222 910)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 042 777
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(242 513)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	455 857
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(10 104)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	203 240

გენერალური დირექტორი:
 მერაბი ვასაძე

მთავარი ბუღალტერი :
 ეკატერინე ცენტერაძე


შპს „გვასადის პური“ და მისი შვილობილი კომპანიის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	12/31/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	(168 956)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	1 137 955
- გადასახადები	-
- ცვეთა	613 950
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	26 496
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	213 264
- წმინდა ფინანსური ხარჯი	284 245
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	770 424
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	464 041
- მარაგები	(169 761)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	496 825
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(30 610)
- ანარიცხები	9 928
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1 739 422
- მიღებული პროცენტი	-
- გადახდილი პროცენტები	(295 013)
- გადახდილი მოგების გადასახადი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 444 409
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(2 729 700)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-
- მიღებული დივიდენდები	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 729 700)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა	10 603 516
- სასესხო ვალდებულების დაფარვა	(9 337 829)
- გადახდილი დივიდენდები	(222 910)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 042 777
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(242 513)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	455 857
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	(10 104)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	203 240

გენერალური დირექტორი:
მერაბი ვასაძე



მთავარი ბუღალტერი :
ეკატერინე ცენტერაძე



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვასაძის პური“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა -2006 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 237077961 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის წარმოება, ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება, ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმის და ნამცხვრების წარმოება, ვაჭრობა ფქვილით და სხვა ნედლეულით. 2011 წელს განახორციელეს საპილოტე პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა შ.პ.ს. „ვასაძის პურის“ ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით გააჩნდა საკონდიტრო ქარხანა სოფელ ფონიჭალაში და ოზურგეთის რაიონ სოფელ მაკვანეთში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.#1 .,

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- მერაბი ვასაძე (პ/533001015109) 92%
- ბიძინა ვასაძე (პ/533001010773) 8%

კომპანიის გენერალური დირექტორია მერაბი ვასაძე.

კომპანია ფლობს შპს „გიორგი-გიო“-ს 100%-იან წილს, რომლის საქმიანობას წარმოადგენს ქ. რუსთავეში არსებული ნაგებობის გაქირავება.

1.1. მომზადების საფუძვლები

2020 წლის 23 აგვისტოსთვის ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.2 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება განგრძობითი საწარმოს საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით,

განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს როგორც არის ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციაში შეცვლისათვის საჭირო აუცილებელი დანახარჯები, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები ათრიცხულია ისტორიული ღირებულებით, რომელსაც აკლდება ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები და ნაგებობები	5-25 წელი
მანქანა დანადგარები	1-30 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	1-30 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	5-25 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, ასევე დაუბრუნებად გადასახადებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების კომპონენტებია: შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები ტარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც

წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციებისას, ასევე ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაფასება წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაფასებისას გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არ ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურებაზე ტესტირება, შესაბამისად არ ხდება საექვო მოთხოვნების გაანგარიშება და ასახვა.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	ჯამი
ლარში								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	566 989	2 201 897	3 785 673	78 159	320 309	687 110	34 548	7 674 685
შესყიდვა		124 549	2 394 657	58 031	93607	58 857	-	2 729 700
გასვლა		-	-	4 001	13 494	9 000		26 496
გაუფასურება			-					
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია								-
გადაფასების რეზერვი								-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	566 989	2 326 446	6 180 330	132 188	400 421	736 967	34 548	10 377 889
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	358 576	1 206 509	22 495	59 188	203 532	19 742	1 870 042
ცვეთის ხარჯი		106 701	352 366	25 371	72477	55869	1166	613950
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-	-	1452	1619	4846		7918
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	465 277	1 558 875	46 413	130 045	254 555	20 908	2 476 073
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს	566 989	1 843 475	2 579 164	55 664	261 120	483 578	14 806	5804642
2019 წლის ბოლოს	566 989	1 861 323	4 621 454	85 775	270 376	482 412	13640	7 901 814

კომპანიის ძირითადი საშუალებები ჩადებულია გირაოში, ბანკის სესხის უზრუნველყოფის ნაწილში.

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	6 094			6 094
შემოსავლა	-			-
გასვლა				-
2019 წლის ბოლოს	6 094	-	-	6 094
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2018 წლის ბოლოს	273			273
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	-			-
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2019 წლის ბოლოს	273	-	-	273
	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2018 წლის ბოლოს	5 821	-	-	5 821
2019 წლის ბოლოს	5 821	-	-	5 821

შენიშვნა 6- ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	96468	66 132
ფული საბანკო ანგარიშებზე	106772	389 725
	203240	455 857

ფულის ბალანსი საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები სადაც ჯგუფს გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

შენიშვნა 7- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	2140173	1 707 437
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	
სხვა მოთხოვნები	14573	911 349
	2 154 746	2 618 786

შენიშვნა 8 - მარაგები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქცია	88 939	119 251
ნედლეული	747 269	569 689
დაუმთავრებელი წარმოება	-	
საქონელი	36 235	31 440
სხვა მარაგები	138 535	120 836
	1 010 978	841 217

შენიშვნა 9- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	854 305	363 989
გადასახელი ხელფასები	282 432	275 340
გადასახდელი პროცენტები		1 911
გადასახდელი დივიდენდები	-	
სხვა ვალდებულებები	-	
	1 136 738	641 240

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამი თვემდე.

შენიშვნა 10- ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

100%-იანი წილი შპს "გიორგი-გიო"

	31/12/2019	31/12/2018
	456 280	456 280
	456 280	456280

შენიშვნა 11- სესხები

ლარი

	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31/12/2019	31/12/2018	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხები	-	-	6 235 435	4 717 454
დაკავშირებული მხარეების სესხები	-	50 000	-	-
ოვერდრაფტები				
სულ სესხები		50 000	6 235 435	4 717 454

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადები და საპროცენტო განაკვეთები:

1. სესხი # 1 დაფარვის ვადა 25.08.2025წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 5,8%
2. სესხი #2 დაფარვის ვადა 05.09.2025წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 4,5%
3. სესხი #3 დაფარვის ვადა 05.10.2025წ , წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%

შენიშვნა 12- ამონაგები

ლარი

	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის რეალიზაცია	18 439 789	16 624 594
მომსახურების რეალიზაცია	81 762	81 408
სხვა გაყიდვები	-	6 356
ჯამი:	18 521 551	16 712 358

შენიშვნა 13-თვითღირებულება

თვითღირებულება 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
მზა პროდუქციის თვითღირებულება	9 668 472	8 765 633
ნედლეულის თვითღირებულება	-	
მომსახურების თვითღირებულება	-	
ჯამი:	9 668 472	8 765 633

შენიშვნა 14- მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
სარეკლამო ხარჯები	367 911	273 189
საწვავის ხარჯი	615 535	579 866
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	139 106	131 696
მარკეტინგული მომსახურება	1 412 869	1 129 887
ჯამი:	2 535 421	2 114 638

შენიშვნა 15 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	3 993 748	3 596 045
ცვეთა და ამორტიზაცია	613950	141 423
საკანცელარიო ხარჯი	22146	17 555
საგადასახადო ხარჯი	4176	4 070
საკონსულტაციო ხარჯი	15000	15 000
მიმდინარე რემონტის ხარჯი	482143	207 313
ბანკის მომსახურება	19617	10 091
დაზღვევა	20630	14 195
საქველმოქმედო ხარჯი	1633	4 660
კომუნალურები	222792	180 876
იჯარის ხარჯი	98956	84 195
მივლინების ხარჯები	54089	138 181
ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერა	17	17
საპენსიო ანარიცხები	45 447	
კომუნიკაციის ხარჯები	40307	20 840
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	352 194	156 854
ჯამი:	5 986 845	4 591 316

შენიშვნა 16 - ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
დაზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალი	22 255	12 799
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	7 918	43 584
	30 172	56 383

შენიშვნა 17 – ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხის პროცენტი	295 013	322 728
სხვა ფინანსური ხარჯები	20387	111 351
	315 400	434 079

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	ლარი	სულ
სესხები	11	6 235 435	6 235 435
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	1 136 761	1 136 761
სულ ფინანსური ვალდებულებები		7 372 196	7 372 196

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	სულ
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	203 240	203 240
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2 154 746	2 154 746
გაცემული სესხები			-
სულ ფინანსური აქტივები		2 357 986	2 357 986

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ყველაზე მაღალი რაც შეიძლება მიიღოს კომპანიამ არის ამ პირებისადმი არსებული მოთხოვნების ნაშთები;

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

18. ახალი და გადასინჯული IFRS სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული

მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის პერიოდისათვის გამოცემულია რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ❖ ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები
- ❖ ფასს 10 და ბასს 28 (შესწორებები) - აქტივების შენატანების გაყიდვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.
- ❖ ფასს 3 - ს კორექტირებები - ბიზნესის განმარტება
- ❖ ბასს 1-ისა და ბასს 8 -ის კორექტირებები - მასალის განმარტება
- ❖ კონცეპტუალური ჩარჩო - ფასს-ის სტანდარტებში კონცეპტუალურ ჩაჩოებთან დაკავშირებული მითითებების ცვლილებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს

ფინანსურ ანგარიშგებაში.

საქართველო
შპს "ვასაძის პური"
ს.კ. 237077961
ტელ.: (+995 599) 72 82 08
ქ.თბილისი,
სოფ. ფონიჭალა, ცოტნე დადიანის I შესახვევი
ქ.ოზურგეთი, ბაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№ 1



GEORGIA.LTD "VASADZIS PURI"
I.C. 237077961
Tel.:(+995 599) 72 82 08
Tsotne Dadiani I Turn, v-ge Ponichala, Tbilisi
Gabriel Episoposi str. № 1, Ozurgeti

სარჩევი

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება,წარმადობა და მდგომარეობა
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები
3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ
7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისდამატებითი განმარტებები
8. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა
9. თაღლითობა.....
10. მთავარი რისკებიდა გაურკვევლობა

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა

შ.პ.ს. „ვასადის პური“ არის კომპანია, რომელიც 2006 წლიდან ზურგეთში ახორციელებს პურ-ფუნთუშეულის წარმოებას. მაღალი ხარისხის და კარგი გემოვნური თვისებების გამო კომპანიის პროდუქციამ სწრაფად მოიპოვა ნდობა და აღიარება ჯერ ადგილობრივ მომხმარებელთა შორის, ხოლო შემდგომ მიმდებარე რეგიონების მოსახლეობაში. ადგილობრივ ბაზარზე მოპოვებულმა წარმატებამ კომპანიას მისცა საშუალება და სტიმული, რომ გაეფართოებინა წარმოება და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა. 2011 წელს კომპანიამ განახორციელა პროექტი საკონდიტრო წარმოებისთვის და შეიქმნა კომპანიის ახალი ბრენდი საკონდიტრო „სანდომი“. სოფელ მაკვანეთში ამოქმედდა მცირე მასშტაბის საკონდიტრო საწარმო, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმსახურა მომხმარებელთა კეთილგანწყობა. კომპანიას წარმატებული საქმიანობით წლებია წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში.

ინოვაციურმა ხედვამ, სიახლის ძიებამ, სწორმა ეკონომიკურმა გათვლებმა და რაც მთავარია კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ, როგორც საქმისადმი, ასევე მომხმარებლისადმი, კომპანია „სანდომი“ მალე აქცია ბრენდად, რომელსაც ენდობიან. საწარმოში დასაქმებულია 300-ზე მეტი ადამიანი და ეს ციფრი კომპანიის გაფართოებასთან ერთად კიდევ აგრძელებს ზრდას.

2013 წლიდან კომპანიის საქმიანობაში ახალი გამოწვევები გაჩნდა. სექტემბერში გაიხსნა გაცილებით დიდი დამამტაბური საკონდიტრო საწარმო თბილისში, რომლის პროდუქციამაც მალე დაიმკვიდრა ადგილი დედაქალაქში და აღმოსაღეთ საქართველოს ბაზრებზე.

„სანდომი“ არის თანამედროვე, სწრაფად მზარდი, დინამიური, ინოვაციური ბრენდი, რომელიც დღეისათვის 100-ზე მეტი დასახელების მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებს.

„სანდომი“-ს საწარმო და კომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, პროფესიონალთა გუნდი უცხოელ კოლეგებთან ერთად მუდმივად მუშაობს პროდუქციის დახვეწაზე და განახლებაზე. საწარმოში პერიოდულად მოწვეულნი არიან უცხოელი ტექნოლოგები. თანამშრომლები გადიან ინტენსიურ ტრეინინგებს უცხოელ სპეციალისტებთან ერთად.

კომპანია აუკვე ISO:22000-2005 სტანდარტის მფლობელია, რაც იმის დასტურია, რომ სანდომი აწარმოებს უმაღლესი ხარისხის, ქართულ პროდუქტს. რომელიც ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით მზადდება. სანდომისთვის ეს დიდი პასუხისმგებლობაა და პატივთან ასოცირდება. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ჩვენი პროდუქტი ნამდვილად კონკურენტუნარიანია და დაარსებიდან დღემდე ამართლებს თავის სახელს.

საკონდიტრო კომპანია „სანდომი“ 2020 წელს კიდევ ერთი ჯილდოს "ოქროს ბრენდის" მფლობელი გახდა, კომპანია "Global idea"-ს მიერ.

კომპანია ასევე რამოდენიმე წელის სატელევიზიო წარმატებული გასართობი პროექტების სპონსორი გახლავთ.

ნედლეულის და მასალების შეძენა ხდება, როგორც ქვეყნის შიდა ბაზარზე, ასევე ხდება მასალის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან.

კომპანიამ წარმატებით შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ საწყის პრობლემებთან გამკლავება. კომპანიამ დაუყოვნებლივ შეიმუშავა COVID-19-ის საპასუხო სრულყოფილი სამოქმედო გეგმა და ჯერჯერობით შეძლო ნედლეულით მომარაგების უზრუნველყოფა, მკაცრი შრომითი დაცვისა და უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად საწარმოო პროცესის ჩატარება და თავისი მომხმარებლებისთვის საქონლის მიწოდება. კომპანიას

გაურკვეველ ვითარებაში უწევს ფუნქციონირება. ამ გამოწვევის საპასუხოდ გამოყენებული იქნება კვების მრეწველობის საუკეთესო პრაქტიკა, რათა მომხმარებლისათვის და მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი ხარისხის პროდუქციის შეუფერხებლად მიწოდება.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია საკონდიტრო პროდუქცია და ტკბილეული გამოირჩევა ხარისხით და კონკურენტუნარიანი ფასით. ამ პროდუქციას შეუძლია ჩაანაცვლოს იმპორტი, რომელიც წლის განმავლობაში შემოტანის ფასით საშუალოდ 20 მილიონ დოლარს აჭარბებს. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპორტირებული პროდუქცია ბაზარზე მოხვედრისას დაახლოებით 25-28 მილიონი დოლარის ბაზარს ქმნის. ჩვენი პროდუქციით სურვილი გვაქვს რომ ეტაპობრივად ჩავანაცვლოთ იმპორტირებული პროდუქცია ადგილობრივად წარმოებული მაღალი ხარისხის და დაბალი ღირებულების პროდუქტით. „ვასაძის პური“-ის კერძოდ კი „სანდომის“ ბრენდის ქვეშ წარმოებული პროდუქცია დაკავშირებულია ნაკლებ დანახარჯებთან, რაც ქმნის შეთავაზებას და გარემოს რომელიც იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლებას გარდაუვალს ხდის.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობა.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ფილიალი.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

შემოსავალი

EBITDA - მოგება / (ზარალი) საპროცენტო ხარჯამდე,

გადასახდებამდე და ცვეთის / ამორტიზაციის

ანარიცხებამდე 680 686ლარი

წმინდა ზარალი 216295

საერთო მოგების მარჟა 47,6

მოზიდული სესხის კაპიტალთან თანაფარდობა 1,59

2018 წელს კომპანიას გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერა გაუწია სს თიბისი ბანკმა, ასევე ბიზნესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოგვიცხადა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

კომპანია დიდ ძალისხმევას დებს თავისი ლოიალური ქსელის გასაძლიერებლად და ნედლეულით მომარაგების საიმედო ბაზის შესაქმნელად, რაც დაფუძნებული იქნება ურთიერთ სასარგებლო ურთიერთობის პრინციპებზე.

კარგი ამოსავალი წერტილი არის ის, რომ კომპანიას უკვე აქვს აქტიური საქმიანი ურთიერთობა ტკბილეულის ინდუსტრიის გლობალურ ბაზარზე რამდენიმე მთავარ მოთამაშესთან. მიმდინარეობს აქტიური კამპანია, არსებული მომხმარებლის ბაზის გასაძლიერებლად. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის საქმიანობის გრძელვადიან მდგრადობას და მომგებიანობას.

თანამედროვე საწარმოს შექმნის გზით კომპანიას საშუალება ექნება რომ მოკლევადიან პერიოდში მოახდინოს ბაზრიდან დაბალ ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებლების განდევნა და ადგილობრივი მომხმარებლის მიჩვევა ისეთ პროდუქციაზე, რომელიც საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. კომპანია მოწადინებულია საკუთარი გუნდი

გაამლიეროს ადგილობრივი ნიჭიერი კადრებით.

8. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

კომპანიაწახალისებას უკეთებს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს;

იმის მიუხედავად რომ კომპანიას უკვე საკმაოდ მყარი პოზიცია აქვს სავაჭრო ქსელში, მაინც აუცილებელია რომ პერიოდულად მოხდეს პარტნიორული ურთიერთობების გადახალისება და კომპანიის სავაჭრო პოზიციების დასაცავად აქტიური ღონისძიებების განხორციელება. ტრადიციული მერჩანდაიზინგის გარდა აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს და არ შემოიფარგლება კომპანიისათვის ვიზუალურად უფრო ხელსაყრელი დახლის ფართის გამოყოფით, კონკურენტების პროდუქციისთვის ნაკლები ფართის დათმობით, კონკურენტული პროდუქციის ნომენკლატურის შეზღუდვით და ა.შ.

ეფექტური გაყიდვების პროცესის შესანარჩუნებლად და ბაზარზე პოზიციების დასაცავად საჭიროა:

- მოლაპარაკებების წარმოება სავაჭრო ქსელებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება დისტრიბუტორებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება სასტუმრო, რესტორნებსა და კაფეებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება ავტოგასამართი სადგურებთან და მაღაზიებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება მსხვილი სავაჭრო ქსელებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება სურსათით და შერეული პროდუქციით მოვაჭრე მცირე და საშუალო მაღაზიებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება პროდუქციის დილერებთან,
- მოლაპარაკებების წარმოება ვენდინგის კომპანიებთან ,
- მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში და მოლაპარაკებების წარმოება იმ მსხვილ სასურსათო კომპანიებთან, რომლებიც სახელმწიფო ტენდერებში იმარჯვებენ.

დამატებითი ძალისხმევით და კომპანიის ბრენდის კარგი ვიზუალიზაციისათვის შესაძლებელია გაკეთდეს დიდ სავაჭრო ცენტრებში დასადები ბანერები, ლაითბოქსები და კუნძული-დახლები.

9. თაღლითობა

ზოგადად კონტროლის გარეშე კომპანიაში, პროცესები და პროცედურები შექმნილია თაღლითობის შემთხვევები სთავიდან ასაცილებლად. საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა კონტროლის პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევა.

10. მთავარი რისკები და გაურკვევლობა

მენეჯმენტს დანერგილი აქვს პროცესები რისკების შეფასებისა და შემსუბუქების მიზნით, რათა შემცირდეს მათი პოტენციური უარყოფითი გავლენა და კომპანიამ შეძლოს გრძელვადიანი მიზნებისა და ბიზნეს სტრატეგიის მიღწევა.

ჩვენი ბიზნესისა და საქმიანობისთვის ყველაზე აქტუალურად ითვლება შემდეგი:

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
პროდუქტის ხარისხი და უსაფრთხოება	• უარყოფითი მოვლენა, რომელიც გამოწვეულია სურსათის უვნებლობის ან სხვა შესაბამისობის პრობლემით.	• ნეგატიური გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე დამომხმარებელთა ნდობის დაკარგვა; • ფინანსური ზარალი.	• ორგანიზაციის მასშტაბით სურსათის უვნებლობის კულტურის გაძლიერება; • BRC სერტიფიცირების სტანდარტებისა და სურსათის უვნებლობის ადგილობრივი მოთხოვნების მკაცრი დაცვა.
ნედლეულით მომარაგების მდგრადობის და მიწოდების ჯაჭვის მოშლა	• ძირითადი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნედლეულის წყაროებზე და წარმოების ობიექტებზე, მაგალითად გაფიცვები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია და ა.შ.	• პრობლემები მიწოდების უზრუნველყოფაში რამაც შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის დაზიანება; • საქონლის თვითღირებულების ზრდა რაც უარყოფითად აისახება საქმიანობის ზრდაზე და მომგებიანობის მაჩვენებლებზე.	პოლიტიკა და პროცედურები, ჩვენი ხალხის ჯანმრთელობისა და პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; • ბიზნესის უწყვეტობისა და კატასტროფის შემდგომ აღდგენის გეგმა.

ძირითადი რისკები	აღწერა	პოტენციური ზემოქმედება	შემამსუბუქებელი გარემოებები
კონკურენცია	■ • მძლავრი კონკურენტების გამოჩენა- კონკურენტების გამოჩენა როგორც წესი ძალიან ნეგატიურად მოქმედებს კომპანიის პოზიციაზე სავაჭრო ქსელში და პირდაპირ მომხმარებლებთან,	■ • თუმცა ეს მოქმედება რამდენადმე უფრო მეტად შესამჩნევია იმ შემთხვევაში თუ კონკურენტს უკეთესი ფასის პირობებში შეუძლია რომ მომხმარებელს შესთავაზოს შესადარი ან უკეთესი ხარისხის პროდუქცია. ამ რისკის მიგრაციის მრავალნაირი ხერხი არსებობს, თუმცა მათი აპლიკაცია მეტწილად დაკავშირებულია გარემო სიტუაციაზე და კონკურენტის ვინაობაზე.	• ადგილობრივად ხელმისაწვდომი ინგრედიენტების და მასალების მრავალფეროვნება • ახალი პროდუქტების კვლევისა და განვითარების შესაძლებლობა • ნატურალური, ბიო, ინოვაციური და დიაბეტური პროდუქციის წარმოების განვითარება • წარმოების და ღირებულებათა ჯაჭვის (კერძოდ, ბაზრების) ოპტიმიზაციისთვის სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერის შესაძლებლობები.
სავალუტო რისკი	• სავალუტო კურსის ცვალებადობა, რომლის შედეგადაც რთული ხდება დაგეგმვა.	• ახალი და ბევრად უკეთესად დაფინანსებული კონკურენტების გამოჩენა იგივე სეგმენტში. • ისეთი კონკურენტების გამოჩენა, რომლებიც უკეთეს ხარისხს სთავაზობენ მომხმარებელს შესადარს ან უფრო ნაკლებ ფასად.	• საქონლის ექსპორტზე გატანას საქართველოს მეზობელ ქვეყნებში.

მმართველობისა წგარიშგება 2019 წლის 31დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 30 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

მ.ვასაძე

მმართველობისა წგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2020 წლის 30 ივლისს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი

მ.ვასაძე

მ.ვასაძე